საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

17/12/2024

MES 5 24 0001619881

გადაწყვეტილება

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირება აღმასრულებელი მენეჯერებისთვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 29 აპრილს წარმოდგენილ იქნა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის №MO-02/02-3118 წერილი (ცენტრში რეგისტრაციის - №480792, 30/04/2024), რომლითაც დაწესებულებამ წარმოადგინა „ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი)“ საბაკალავრო, „ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები)“ საბაკალავრო, „ციფრული მარკეტინგის“ საბაკალავრო, „ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიების“ სამაგისტრო, „ბიზნესის ადმინისტრირება აღმასრულებელი მენეჯერებისათვის“ სამაგისტრო, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო, „ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის თაობაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2024 წლის 6 ივნისის №632983 ბრძანების საფუძველზე, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2024 წლის 26 ივლისის №912691 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი „ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი)“ საბაკალავრო, „ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები)“ საბაკალავრო, „ციფრული მარკეტინგის“ საბაკალავრო, „ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიების“ სამაგისტრო, „ბიზნესის ადმინისტრირება აღმასრულებელი მენეჯერებისათვის“ სამაგისტრო, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო, „ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასების მიზნით განახორციელა 2024 წლის 14, 15 და 16 აგვისტოს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	x			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	**x**			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	**x**			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	**x**			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	**x**			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4 ზეპირი მოსმენა გაიმართა **2024 წლის 3 დეკემბერს.** სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და 5.1 კომპონენტში არსებული კლასტერული რეკომენდაცია, გადაიტანა რჩევაში, რომლის შესაბამისადაც 5.1 კომპონენტი ნაცვლად "მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან", შეფასდა როგორც "შესაბამისია მოთხოვნებთან" თუმცა აღნიშნულს არ გამოუწვევია მთლიანი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 13 ხმით არცერთის წინააღმდეგ:

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ბიზნესის ადმინისტრირება აღმასრულებელი მენეჯერებისთვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით (2031 წლის 3 დეკემბერი).
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო, „ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი)“ საბაკალავრო, „ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები)“ საბაკალავრო, „ციფრული მარკეტინგის“ საბაკალავრო, „ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიების“ სამაგისტრო, „ბიზნესის ადმინისტრირება აღმასრულებელი მენეჯერებისათვის“ სამაგისტრო, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო, „ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ დასკვნა ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2024 წლის 17 დეკემბრის №1619799 ოქმის № 02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები
კლასტერული:

- რეკომენდებულია, დანერგოთ სწავლის შედეგების შეფასების ისეთი მექანიზმები და ინსტრუმენტები, რომლებიც მორგებული იქნება თითოეული პროგრამის სპეციფიკაზე და რომლებიც იძლევა მკაფიო დასაბუთებას სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის ლოგიკის (და ამ ნიშნულებიდან გადახრის დასაშვები ზღვრის) და შეფასების პერიოდულობის შესახებ.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის
კლასტერული:

- სასურველია, გარე ხარისხის უზრუნველყოფისთვის მომზადებული თვითშეფასების ანგარიშები აღწერდეს გასაუმჯობესებელ მხარეებს, მათი განვითარებისთვის დაგეგმილ აქტივობებსა და შესრულების ვადებს.
- სასურველი სასწავლო მასალები განახლდეს უახლესი ლიტერატურით.
- სასურველია, დაინერგოს პერსონალის მომზადების სისტემური აქტივობები სწავლა-სწავლების საკითხებში, განსაკუთრებით მოწვეული და დამწყები პედაგოგებისთვის.

ინდივიდუალური რჩევები:

- სასურველია, დაწესებულებამ უნივერსიტეტის ვებგვერდზე განათავსოს სპეციალობის შიდა გამოცდის საკითხები/ნიმუშები და მათი შეფასების სქემა.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 3 დეკემბერს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) დაწესებულების ინფორმირების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა